# იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

ხუთშაბათი 14 აგვისტო

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში. სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 129 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 129


პლატონ გიორგის ძე ბერძენი და ასული მისი ნინა (ნუნუ) აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 15 ამა აგვისტოს, დილის თერთმეტ საათზე ქ. ქუთაისის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველისა უსაყვარლესის მეუღლის და მეორისა ძვირფასის დედის,

## დესპინე

პროკოფ საბაშვილის ასულის სულის მოსახსენებლათ.

---

ქუთაისის რეალური სასწავლებელი ამით **აცხადებს** რომ მისაღები გამოცდები მოსამზადებელსა და პირველ კლასებში (დანარჩენებში ადგილი არაა), აგრეთვე განმეორებითი ეგზამენები ყველა კლასებში დაიწყება 22 მარიობისთვიდან. თხოვნები მიიღება 20 მარიობისთვემდი. თხოვნებთან ერთად უნდა იქმნეს წარმოდგენილი მოწმობები: 1. მეტრიკული (კანტორისა), 2. წოდებისა, 3. ყვავილის აცრისა და 4. ერთი ფოტოგრაფიული სურათი პოლიციისაგან დამოწმებული. ზემო აღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლათ თხოვნა არ მიიღება.

---

## უ დ ი დ ე ს ი

**სპეციალური წიგნის მაღაზია და წიგნის საწყობი**

**ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი**

### კოსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა და ამხ.

დამზადებულია დიდ-ძალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები საშუალო და დაბალ სასწავლებელთათვის. პროვინციის წიგნის მაღაზიებსა, სახალხო შკოლებსა, ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებსა შარშანდელივით ეთმობათ წიგნები მეტად სალავათიან პირობებში.

წიგნის მაღაზიას გახსნილი აქვს საკუთარი საკაზმავი სახელოსნო. ამის გამო მას ეძლევა საშუალება, რომ ზოგიერთი წიგნის ყდა დაუთმოს ჩვეულებრივ ფასზე უფრო ნაკლებ.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია სპეციალური საკანცელარიო მაღაზია **დ. ი. ოცხელისა**, რომელსაც მიღებული აქვს საქონელი პირდაპირ რუსეთისა და საზღვარგარეთის გამოჩენილ ფირმებისგან და ამიტომ ყოველგვარი სასწავლო და საკანცელარიო ნივთი ამ მაღაზიაში იყიდება **ძ ლ ი ე რ  ი ა ფ ა თ.** აქვე გახსნილია რვეულების საკეთებელი საკუთარი სახელოსნო, რის გამოც მაღაზიას შეუძლია რვეულები იქონიოს უკლებლივ და გაყიდოს ზომიერ ფასათ.

**კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემები:**

1. ყუბანეიშვილი. პირველ დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . . . . . ფასი 6 შაური.
2. ქვარიანი. საქართველოს მოკლე ისტორია . „ 2 აბაზი.
3. ნიკოლაიშვილი. მოკლე ქართული გრამატიკა . „ 1 „
4. არითმეტიკული კრებული, შედგ. ქუთ. სააზნ. შკოლის მასწ. ჯგუფის მიერ სურათებით . . . „ 7 შაური.
5. „ცხოვრება და მეცნიერება“. (ახალგაზდა ქართველ მეცნიერთა და სტუდენტთა ნაწარმ. კრებული) . „ 1 მან.
6. უზნაძე. მაჰმადი . . . . . . „ 3 შაური.
7. მისივე. ისლამი. . , . . . „ 3 „
8. მოძრავი ანბანი . . . . . „ 2 „
9. იგივე კარდონზე . . . . . „ 6 „

აქვე საწყობშია შემდეგი გამოცემანი, რომელთაც მაღაზია ყიდის იმავე დათმობით, როგორც საკუთარს გამოცემას:

1. „გუთანი“. ქართული სახელმძღვანელო . . ფ. 17 შაურ.
2. ხუნდაძე. გრამატიკა . . . . . „ 3 აბაზი.
3. მისივე მოკლე გრამატიკა . . . . „ 1 „
4. ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა . . . „ 10 შ.
5. მღ. ა. გერსამია. ლოცვანი . . . . „ 2 „.
6. ალ. ჰიჰინაძე. გეოგრაფია . . . . „ 3 აბ.
7. დათეშიძე. ქართული წერის დედანი. . . „ 5 შ.
8. ფ. ქორიძის მიერ გადაღებული საგალობლების ნოტები სხვადასხვა ფასისა.
9. კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-19 საუკ. ქართული ლიტერ. 2 ნაწილი. თითო ნაწილი . . . . „ 14 შ.
10. ალ. ხახანაშვილი. ბატონყმობა საქართველოში. „ 10 „
11. შექსპირი. გადმოღებული ყმაწვილთათვის ს. ყიფიანის მიერ . . . . . . „ 1 აბ.

იბეჭდება ახალი გამოცემები: შიო მღვიმელის ლექსთა კრებული, გ. იოსელიანის მიერ ყრმათათვის გადმოღებული „ვეფხის ტყაოსანი“, ალ. ჯ—ძის ეროვნული შემოქმედება, ქართული ანბანი, შედგ. „გუთნის“ ავტორის მიერ. ახალი რუსული ენის სახელმძღვანელო. გ. წერეთლის მამიდა ასმათი და რუხი მგელი, სამაგალითო სამზარეულო და სხვა.

---

## ქალაქის ამომრჩეველთა საყურადღებოთ:

ქალაქში ხმა გავრცელდა, თითქოს ქუთაისის ქალაქის საბჭოს არჩევნები მომავალი ოთხი წლისათვის (1914—1918 წ.წ.) სხვა დროისათვის გადადებულიყოს. ამის გამო ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ეს

### ხმა სიმართლეს მოკლებულია:

არჩევნები მოხდება მდგომარე **1914** წლის **14** სექტემბერს,

და იმ პირთ, რომელთაც სურთ შეტანილ იქნენ მდგომარე აგვისტოს 14 რიცხვისათვის გამოსაცხადებელ საბოლოო საარჩევნო სიაში,

დაუყონებლივ უნდა შემოიტანონ მათზე დარჩენილი საქალაქო გადასადის ,,ნედოიმკები‘‘.

---

## ფოთის ქალაქის გამგეობა

### ა ც ხ ა დ ე ბ ს, რ ო მ

### ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევა

მომავალის ოთხის წლისათვის (1914—1918) წრეულს მოხდება ორშაბათს,—8 სექტემბერს, გამგეობის დარბაზში.

---

## მოწოდება.

### ქ უ თ ა ი ს ი ს  ქ ა ლ ა ქ ი ს  მ ო უ რ ა ვ ი ს ა

მოულოდნელი უბედურება დაგვატყდა თავზე. ღვთის რისხვად მოევლინა ქვეყნიერებას ომი, ისეთივე საზარელი, როგორც ჟამი, მიწის ძვრა და წარღვნა. თავისუფალი, მშვიდობიანი ცხოვრების დენა ერთიანად დაირღვა, აირია.

ჩვენი პატარა ქვეყანა, ისედაც სუსტი და გაჭირვებული, ომიანობის დრომ უკიდურესს მდგომარეობაში ჩააყენა.

ჩვენს გაღატაკებულს ოჯახებს ომიანობამ მოგლიჯა გულიდან ერთად-ერთი მისი მარჩენალი, მისი ჭირისუფალი.

ჯარის კაცებათ ომში გაწვეული ჩვენი ძმები და შვილები სისხლს ანთხევენ მშვიდობიანობის, ჩვენი არსებობის დასაცავად. ასეთი ფასდაუდებელი მსხვერპლი ჩვენგანაც მოითხოვს შესაფერ მსხვერპლს.

საძრახისი, სამარცხვინო იქნება ჩვენთვის, რომ ჩვენი უყურადღებობის მიზეზით დაიმშეს ცოლ-შვილი და დედ-მამა ანაბარად მიტოვებულ ომში გაწვეულ ჯარის კაცებისა.

მოქალაქენო! თქვენთვის თავდადებული მოძმეთა ოჯახები მოითხოვენ თქვენგან ნივთიერ დახმარებას და თქვენც დაუყონებლივ უნდა აღმოუჩინოთ იგი.

მიეშველენით, რითაც შეგიძლიათ: ფულით, ნივთით, საქონლით, სანოვაგით; შეწირულების სიმცირეს ნუ მოერიდებით, ყველაფერი მადლობით მიიღება, მხოლოდ უპირატესობა ეძლევა ფულის შეწირვას.

საქონელთაგან სასურველია შემოიწირონ: კაცის უხმარი თეთრეული, საბანი, ფუფაიკა, ყაბალახი, ტილო, მიტკალი, ცხვირსახოცი, წუღები, წინდები და სხვ.

სანოვაგეთაგან: ჩაი, შაქარი, კონიაკი, ღვინო, კონსერვი, გალეტი, სუხარი, კრუპა, შოკოლადი, კაკაო, საპონი, თუთუნი, პაპიროსი, გიდროსკოპიული ბამბა, მარლე, ტერმომეტრები და სხვ. ისეთი სანოვაგე, რომელიც მალე ფუჭდება, არ მიიღება.

შეწირულება უნდა გამოეგზავნოს ქუთაისის ქალაქის გამგეობაში განსაკუთრებულ კომიტეტს, რომელიც მოქმედობს ჩემის თავმჯდომარეობით.

შემწირველთა ვინაობა და შეწირულების რაოდენობა დაუყონებლივ გამოცხადდება გაზეთში.

ქუთაისის ქალაქის მოურავი **ილ. ჩიქოვანი.**

---

## ქ უ თ ა ი ს ი

## პირველი კერძო სამკურნალო

ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი  ე ქ ი მ ე ბ ი თ.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დ ი ლ ი თ.**

**პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოკტორი ვ. პ. მოსეშვილი შინაგანი და ნევრგბის.**

| | |
|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა. . . . . . . | 1— 2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის . . . . . . . | 10—11 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ ღღე . . | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . . | 12—2 |
| გ. ა. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . . . | 12½2მ |
| **ს ა ღ ა მ ო თ.** | |
| გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით . . . . | 4½—5½ |
| გ. ა. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . | 5½—6/ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოდოშვილი**

---

## ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის

### გამგეობა ამით აცხადებს, რომ

### მისაღები გამოცდები დაიწყება 25 აგვისტოდან.

---

**ექიმი** კ. ტყეშელაშვილი ღებულობს ავათმყოფს (ვენერიული, კანის, და სიფილისისა) იკვლევს ვასსერმანის მეთოდით სისხლს. დილით 9—1, საღამოთი 6—8 ვიტუშინსკის სახლი, რიონის პირათ პუშკინის ქუჩიდან შესახვევი.

---

**ელექტრონის და სინათლის სამკურნალო კაბინეტი**

**ექიმის გაბრიელ იოსების ძის გოკიელისა** შინაგანი, ნერვების და ვენერიული ავათმყოფთათვის. ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** **ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ. **მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

---

**ექიმი** **გ. დ. ნასარიძე** დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი, ბავშვების და ნერვების სნეულებანი) დილით 9 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ აფთიაქის პირდაპირ).

---

ქ. ქუთაისში

კ ბ ი ლ ი ს  ე ქ ი მ ი

### ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება. მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

**ტელეფონი 153.**

---

**ექიმი** **ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი.** განაახლა **კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე** დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

---

**ექიმი** **ი. ა. ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

---

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი გ. ვ. **მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

---

**დამეკარგა ატტესტატი 471,** ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეს ალექსანდრე გუგუციძეს. მნახველს მიეცემა შესაფერი ჯილდო და ვსთხოვ წარმოადგინოს გაზეთ „იმერეთის‘‘ რედაქციაში.

---

**ექიმი** **მ. დ. ბეთანოვი იღებს კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ** დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

---

**ექიმი** **გრიგოლ ალშიბაია** უკვე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას ძველ ბინაზე.

## ქუთაისი 14 აგვისტო.

დიდებული ამბების მოწმე ვიყავით. ქართველი სათადარიგონი გადიოდენ დიდი აღფრთოვანებითა და სიხარულით. და ეს აღფრთოვანება იმას მოასწავებს, რომ საქართველო მარტო პოლიტიკურად კი არა, ზნეობრივადაც დიდი რუსეთის ნაწილს წარმოადგენს.

ქართველმა ერმა უკვე დაამტკიცა ეს თავისი გმირული თავდადებით საერთო სამშობლოსათვის, ე. ი. დიდი რუსეთისათვის, მას შემდეგ, რაც საქართველო—რუსეთს შეუერთდა, შეაფარა თავი, ხანგრძლივ ომებში სპარს-ოსმალებთან და შემდეგ იაპონიასთან. დიაღ! ქართველი ერი ჭირში და ლხინში ყოველთვის ერთად, ერთგულ და ერთსულ იყო რუსეთის დიდი იმპერიის ერებთან.

და ქართველთა ის სისხლი, რომელიც უკვე შეეწირა და კვლავაც შეეწირება დღევანდელ დიდ ომში საერთო სამშობლოს დაცვას, კიდევ უფრო განამტკიცებს ქართველთა სულიერს, ზნეობრივ ერთობას რუსებთანა და იმპერიის სხვა ერებთან, რადგან ზნეობრივსა და ეროვნულ ერთობას საერთო ისტორიული განსაცდელი და თავგადასავალი შეიქმს.

და გვწამს, რომ ამ საერთო განსაცდელიდან დაიბადება ახალი რუსეთი, რომელსაც საფუძვლად ექნება ერთა ძმობა და ერთობა.

# სრულიად ევროპის ომი

## დეპეშები

პეტ. დეპ. სააგენტოსაგან.

**პეტერბურგი.** 12 აგვისტო. მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის სახელზე 1914 წლის 11 აგვისტოს დღით 12 საათზე და 21 წ, უმაღლეს მთავარ სარდლისგან გამოგზავნილ დეპეშაში შემდეგი სწერია:

ვერ გავბედავდი შემეწუხებიეთ უბრალო საქმის ცნობით, მაგრამ გიბედავთ ამას, როგორც ნიჟეგოროდცების უთვითმპყრობელეს შეფს. 70 დარჩეული გერმანელი მხედარი და ერთი აფიცერი შეხვდა ნიჟეგოროდცების ესკადრონს, რის შემდეგაც ნიჟეგოროდცებმა ყველანი დაჩეხეს გარდა ექვსისა, რომლებიც ტყვეთ წამოიყვანეს. ნიჟეგოროდცებიდან 4 ტყვიით არის დაჭრილი, ხმლით კი ერთი კაციც არ არის გაკაწრული.

**გენერალ-ადიუტანტი ნიკოლოზი.**

**ნიში.** 11 აგვისტო. „პრეს ბიურო“ ოფიციალურათ იუწყება: დღეს დღის 4 საათზე ჩვენმა ჯარებმა შაბაცი ისევ დაიკავეს. სერბიის მთელი ტერიტორია ამჟამათ მთლათ გაწმენდილია ავსტრიელებისაგან. მტერმა უკან დახევასთან ერთად ყველაფერი ნანგრევებათ აქცია, ბევრი მხეცობა ჩაიდინა; არ ინდობდენ არც ბავშებს ათი წლისაზე პატარებსაც. რამდენიმე სოფელი ძირიან-ფესვიანათ მოსპობილია, მცხოვრებლები ამოჟლეტილია. კაცის გონებისათვის წარმოუდგენელია მტერთაგან ჩადენილი მხეცობანი, რომელნიც დაწვრილებით იქნება აღნიშნული. მათთან შედარებით ქონებრივი დანაკლისი არარას წარმოადგენს.

**სკოპლე.** ომის გამოცხადების დღიდან დარის ოლქში ალბანეთის საზღვარზე, შეიარაღებული შეტაკება ხდება ალბანელთა ბრბოებსა და სერბიელ პატრულებთა შორის.

4 აგვისტოს ღამით ალბანელებმა ქირონიცოზე და შტიროვნიცაზე იერში მიიტანეს, მაგრამ სერბიელებმა უკუ აგდეს.

უტყუარი ცნობებია, რომ ალბანელებმა სერბიასთან საომრათ, ბევრი თოფი და ზარბაზნები მიიღეს ავსტრიელებისაგან. თოფები ურიგდებათ აგრეთვე ალბანელ კათოლიკეთაც. პრინცი ვიდი მაჰმადიან ალბანელებთან შერიგებას ცდილობს.

ალბანელთა მეთაურებს და გამოჩენილ პირებს დიდი ფული ურიგდებათ ალბანელთა გამოჩენილი ბელადები ბოლეტინაცი და ცური შავმთიელების საზღვარს თავდასხმას უპირებენ.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება შესახებ უზენაესი საბჭოს დაარსებისა ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის თავჯდომარეობით ომში გაწვეულ მეომართა, აგრეთვე დაჭრილთა და მოკლულთა ოჯახებისათვის დახმარების აღმოსაჩენათ.

**კოპენჰაგენი.** 12 აგვისტო. აქ გადმოცემულის ოფიციალური მოხსენებით გერმანიის ლაშქრის გენერალ-კვარტიმისტრი სცნობს, რომ რუსთა ლაშქარი გამარჯვებით წინ მიიწევს.

**ლონდონი.** ოსტენდედან იტყობინებიან, რომ შაბათის დიდი ბრძოლა შერლეაუდან წამოსული ფრანგების კავალერიამ ჟანბლუს აღებით დაიწყო. მაგრამ მაშველ ჯარის სიმცირის გამო, საფრანგეთის ჯარები იძულებული იყვნენ ისევ უკან დაეხიათ შერლეაუზე გერმანელები მიდიოდენ ყველა იმ გზებით, რომლებიც კი ბრიუსელიდან აღმოსავლეთისკენ სძევს და მდინარე სამბარზე გადასვლა სურდათ. კვირა დღემდე პოზიციები მოკავშირეთა ხელში იყო. მოპირდაპირეებს, როგორც სჩანს, ერთნაირი ძალები უნდა ჰყავდეთ. კვირას მომხდარ ბრძოლის დაწვრილებით ამბები ჯერ არ არის.

**ლონდონი.** 11 აგვისტო. აქ დიდის გულისძგერით ელიან მთავარ ბრძოლის ამბებს, რომელიც ნამიურსა და საფრანგეთის საზღვარს შუა ხდება. პარიჟიდან მოსულ ცნობით, ბრძოლის ცენტრად ხდება შარლეაუ, რომელიც ხან ერთისა და ხან მეორის ხელში გადადის.

**ლონდონი.** 11 აგვისტო. ოსტენდედან რეიტერს ატყობინებენ, რომ გერმანიის კავალერიას მუდამ წინ ეხეჩება ფრანგთა ცხენოსნები და ქვეითნი. მოპირდაპირეთა ძალები, როგორც სჩანს, დაახლოვებით თანასწორია. ინგლისის ჯარის დანიშნულება თანდათან დიდმნიშვნელოვანი ხდება. გერმანელების ცდამ ანდერლიუს-ჟუნე დაეკავათ უნაყოფოთ ჩაიარა. გერმანელების მიერ ჟუნეზე ზარბაზნების დაშენას საგრძნობი შედეგი არ მოყვა. ეს ცნობა, როგორც სჩანს ეხება შაძლერუასთან გუშინდელ ბრძოლას.

**ბელგრადი.** 11 აგვისტო. გუშინ ღამით ავსტრიელები ყუმბარებს უშენდენ ბელგრადის სამხრეთ ნაწილს, დააზიანეს რამდენიმე სახლი, დაანგრიეს სინაგოგა, მოკლულია და დაჭრილი რამდენიმე კაცი.

**ლონდონი.** სამხედრო მინისტრმა გადასწყვიტა: პატიება მიენიჭოს იმ დეზერტირთ, რომელნიც მოისურვებენ მომქმედ ლაშქარში შესვლას; დროებით შეაჩეროს რეზერვის აფიცერთა გამოცდა, რომელთაც ჯარში შესვლა სურთ. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი აწყობენ რეკრუტებს ახალი ჯარის შესავსებათ. მოაწყვეს კომიტეტი ბელგიიდან გამოქცეულთა დასახმარებლათ.

**კოპენჰაგენი.** ამერიკის მთავრობამ მცხოვრებთ მოწოდებით მიმართა, რომლითაც უკრძალავს ევროპის ომებში მონაწილეობის მიღებას. აფრთხილებს, რომ ყველა ვინც ამერიკას დასტოვებს იმ განზრახვით, რომ ომში მონაწილეობა მიიღოს, კარგავს დაბრუნების უფლებას.

ვოლფი ტელეგრაფით იუწყება, რომ მაროკოს მთავრობამ 6 აგვისტოს გერმანიის რწმუნებულს პასპორტები ჩააბარა და ძალით გაგზავნა იგი მისიის წევრებთან ერთად ფრანგთა კრეისერზე, რომელმაც ის პალერმონში მიიყვანა. აქაურმა ბრიტანეთის ელჩმა რიშცუას საშვალებით გამოაცხადა გრეის განცხადება, რომ ჩრდილოეთის ზღვაში გემთა მიმოსვლას საფრთხე მოელის გერმანელთა მიერ ჩაწყობილ ნაღმებისაგან. ინგლისის საადმირალო, ნათქვამია განცხადებაში, უფლებას იტოვებს მიიღოს კონტრ ზომები ბრძოლის ამგვარი საშვალებითა წინააღმდეგ.

აქაურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს რომიდან მოსული დეპეში, სადაც ნათქვამია, რომ რომის დიპლომატიურ წრეების მიერ ვენიდან მიღებულ ცნობებით ავსტრიის იმპერატორი უარესად შეიქმნა და ყოველ დღე მოსალოდნელია კატასტროფა.

**სოფია.** 11 აგვისტო. შიპკის მტერთაგან დაცვის წლის თავზე სადღესასწაულო წირვის შემდეგ, რომელსაც დაესწრენ უმაღლეს მთავრობის წარმომადგენელნი, მათ შორის წარმომადგენელი მეფე ფერდინანდისა, ყოფილი მინისტრები, რუსის ელჩი და დიდძალი საზოგადოება, ომის ვეტერანები გაემგზავრენ მეფე განმათავისუფლების ძეგლთან და ძეგლი გვირგვინით შეამკეს.

**კოპენჰაგენი.** ,,ნორდ-დოიჩე'' ვრცელ სტატიაში ეხება გერმანიის საგარეო ვაჭრობის სამწუხარო მდგომარეობას და ამბობს, რომ გერმანიის კომერციული წრეები ყოვლად უძლურნი არიან ქნიან რამე ასეთს პირობებში.

გაზეთი იძლევა წინადადებას ვაჭრობა ნეიტრალურ სახელმწიფოთა გზების შემწეობით აწარმოონ.

**კოპენჰაგენი.** 12 აგვისტო. შიმში-სამბა ჩამოვარდა. სანოვაგე ნაკლებათ არის. მთავრობის განკარგულებით სათესლე მუქთათ ურიგდებათ. სასეირნო ბაღები ბოსტნებათ გადააკეთეს. მდგომარეობა მეტათ სერიოზულია.

**ლონდონი.** 12 აგვისტო. ცინდაოდან გამოგზავნილი შიფრიანი დებეშა ვილჰელმისა, რომლითაც უბრძანებს თავის მეციხოვნეთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან თავისი პოზიციები გერმანიის ჯარის კაცებს წაუკითხეს პარასკევ საღამოთი. ჯარისკაცებმა გულმოდგინეთ მოისმინეს ეს ბრძანება და მზათაც არიან ალასრულონ ნება თავის იმპერატორისა. იმ მაღალ შენობების ქვეშ, რომელიც საქმეს გაუადვილებს თავდამცემ ფლოტს და იქნებიან ნიშანში ამოღებული გერმანელებმა დინამიტი ჩააწყვეს იმ ხიდის ქვეშ, რომელიც იმყოფება მათგან იჯარით აღებულ ტერიტორიის საზღვარზე.

გერმანიის ტერიტორიის საზღვრებში მყოფი ჩინელთა სოფლები გაანადგურეს და ზოგიერთებს ზარალი აუნაზღაურეს პეკინიდან იუწყებიან, რომ ცინდაოს ზარბაზნები უკვე დაუშინეს.

**სკლონე.** 10 აგვისტო. დღეს საღამოთი აქ მოიყვანეს შაბაცესთან დაჭრილი 1,700 კაცი. მოელიან დაჭრილთა სხვა პარტიებსაც.

**ტოკიო.** 11 აგვისტო. ავსტრიის კრეისერი „ელიზაბეტი“ ცინდაოში იმყოფება.

**ლონდონი.** 12 აგვისტო. სამხედრო ექსპერტები ერთხმად ამბობენ, რომ ფრანგ-ბელგიელთა საომარ ველისმ დგომარეობა პირველ დიდ შებრძოლების შემდეგ თუმცა სერიოზულია, მაგრამ მოკავშირეთათვის მაინც საბედისწეროთ არ ჩაითვლებაო. ქარი მათი იძულებული იყო რამდენიმე ხნით დასდგომოდა საგერ პოლიტიკას, მაგრამ გერმანელებიც ძალზე დაიღალნენ, დიდი ზარალი მოუვიდათ და დროებით იერიშებს ველარ მიიტანენო.

**პეტერბურგი.** 12 აგვისტო. სოფიაში მყოფი საიმპერატორო ელჩი იუწყება, რომ ბურგასის ნავთსადგურში ნაღმები ჩააწყვეს და გემებს შესვლა აკრძალული აქვთო.

**პეტერბურგი.** 12 აგვისტო. ფრანგ-გერმანელთა ბრძოლის ველზე მომხდარი განუწყვეტელი ომები საერთო მდგომარეობას არა სცვლიან. მონსთან გერმანელთა მარჯვენა ფრთისგან მიტანილი იერიში მოგერებულ იქნა.

**ლონდონი.** 12. აგვისტო. ლორდთა პალატა. ლორდი კიტჩენერი, რომელიც პირველათ გამოვიდა. როგორც სამხედრო მინისტრი, ამბობს, რომ არავის არ შეუძლიან იწინასწარმეტყველოს, თუ რამდენხანს გაგრძელდება ეს ომიო.

ინგლისის საექსპედიციო რაზმი გადავიდა საფრანგეთის დასავლეთ-საზღვარზე, წაიწია მანსის მიდამოებისკენ და 36 საათის განმავლობაში პირდაპირ უდგა მასზე დიდათ ძლიერ მტერს და დიდი გმირობაც გამოიჩინა. ბელგიამ იცის, თუ როგორ თანაუგრძნობენ მას ინგლისელები და როგორც აღშფოთებული არიან იმ უბედურების გამო, რომელიც მას თავს დაატყდა. ინგლისმა მტკიცეთ გადასწყვიტა—ყოველი ღონე იღონოს, რომ ბელგიისაგან შეწირული მსხვერპლი უნაყოფოდ არ დარჩეს. მართალია, ინგლისში სამხედრო ბევარა სავალდებულო არ არის მაგრამ მას დაუშრეტელი წყარო აქვს როგორც მეტროპოლიაში, ისე თავის სამშობლოში. ინდოეთი, კანადა, ავსტრალია და ახალი ზელანდია აგზავნიან ძლიერ რაზმებს. 70 ბატალიონი ტერიტორიალურ ჯარებისა მოხალისეებათ ჩაეწერა. პირველ რიგში არის 100,000 ახლად გამოწვეული ჯარისკაცი და უზრუნველყოფილია გამოწვევა მრავალრიცხოვან რეზერვისა. მაქსიმალური ძალები დიდიბრიტანიის მტერთა თანდათან იკლებს, ჩვენი ძალები კი თანდათან გაიზრდება იქამდე, ვიდრე იგი ღირსი არ იქნება ბრიტანიის იმპერიისა; 6 თვის განმავლობაში ბრიტანიის ჯარი გაძლიერდება 30 დივიზიით, მაგრამ თუ ომი გაგრძელდა და იმაზე მეტი მსხვერპლი დაგვჭირდა, რაც კი შეუსლია შესწიროს ერმა, მე იმედი მაქვსო,—დაათავა კიტჩენერმა,- რომ პარლამენტი და ხალხი არ დაიზარებენ შესწირონ ეს ზედმეტი მსხვერპლიცაო.

**პეტერბურგი.** 12 აგვისტო. საფრანგეთის სამხედრო სამინისტრომ ოფიციალურათ გამოაქვეყნა: ინგლისის ჯარზე, რომელიც იმყოფებოდა ჩვენ მარცხენა ფრთაზე, მაასის დასავლეთით, გერმანიის ჯარმა იერიში მიიტანა. ინგლისელებმა განსაცვიფრებელის გამბედაობით გაუწიეს წინააღმდეგობა. საფრანგეთის ორი კორპუსი, რომელიც იმავე მიდამოებში მოქმედებდა და რომელიც წინა რიგში იყო, მედგრათ ეტაკა მტერს, აფრიკის ჯარმაც, მიუხედავათ საშინელი სროლისა და ცეცხლისა, მამაცურათ წინ გასწია. პრუსიის ჯარმა იერიში რამდენჯერმე მოიგერია. აფრიკელები იძულებული გახდენ უკან დაეხიათ, თუმცა ამავე დროს მტერს თვალსაჩინო ზარალი მიაყენეს. გერმანელთა გვარდიის რჩეული კორპუსი ძალზე აირ-დაირია. ამ ბრძოლის დროს, რომელიც მაასის აღმოსავლეთით სწარმოებდა და ისეთ ადგილას იყო საიდანაც მტერზე თავდასხმა მეტისმეტად საძნელოა საფრანგეთის ჯარმა წინ წაიწია. ტყიდან გამოსვლის დროს ჩვენ ჯარებზე სასტიკი იერიში მიიტანეს და მედგარი ბრძოლის შემდეგ იძულებული იყვნენ უკან, მდინარე სემუას იქით, დაეხიათ, გენერალ-ჟოფრეს ბრძანებისამებრ ჯარებს ამჟამად უჭირავთ გამაგრებული პოზიციები, რომელთაც არ დასტოვებდენ თუ რომ ბელგიელები არ მიეშველებოდენ. ყველა ეს პოზიციები ხელშეუხებელია.

ამ ომებში საფრანგეთის კავალერია თითქმის არ დაზარალებულა. საფრანგეთის არტილერიამ ერთხელ კიდევ გამოიჩინა თავისი უპირატესობანი. აფიცრები და ჯარის კაცები მშვენიერ გუნებაზე არიან. ფიზიკური მდგომარეობა ჯარისა საუკეთესოა. უმახლობელესი ბრძოლა ცოტა და სხვაგვარი ხასიათისა იქნება.

რამდენიმე დღის განმავლობაში იმ დრომდე ვიდრე სასურველი წამი არ დადგება, რომ კვლავ მედგარი იერიში მიიტანონ' ჩვენი ჯარები საგერ ბრძოლას გასწევენ.

მართალია საფრანგეთის ჯარის ზარალი თვალსაჩინოა, მაგრამ არც გერმანიის ჯარს დაადგა კარგი დღე ვინაიდან იძულებული შეიქნა კონტრ-იერიშებზე ხელი აეღო და ახალ პოზიციებზე გამაგრებულიყო ლოტარინგიაში. გამოვიდენ რა იმ პოზიციებიდან, რომლებიც ნანსის ჩრდილოეთით იმყოფება გუშინდელ დღის განმავლობაში საფრანგეთის ჯარმა ოთხ ჯერ მიიტანა კონტრ-იერიში და გერმანელებს დიდი ზარალი მისცა. საზოგადოთ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ჩვენ დავიტოვეთ სრული თავისუფლება ჩვენი რკინის გზებით სარგებლობისა და თავისუფალი გზაც გვაქვს ყველა იმ ზღვებისკენ, საიდანაც შემოგვაქვს სურსათი, მეორეს მხრივ რუსეთმა უკვე დაიწყო მედგარი შესევა სამულისკენ აღმოსავლეთ პრუსიის სიღრმეში.

ვწუხვართ, რომ აღფრთოვანებულმა თავდასხმამ, რომლის შესრულების სიძნელესაც ვერავინ წარმოიდგენდა, თავის მიზანს ვერ მიაღწია (დასასრული იქნება).

**პეტერბურგი.** 18 აგვისტო. ომის დაწყებიდან დღევანდლამდი სერბიელებმა ავსტრიელებს წაართვეს 43 საველე ზარბაზანი, 6 გაუბიცი, 86 ტყვია-წამლის ყუთი ზარბაზნისათვის, გოსპიტალი, პურის საწყობები, სურსათის საწყობი, მრავალი ტანისამოსი ჯარის კაცებისა და ცხენები.

შვეციიდან მოსულ ცნობებით გერმანიის დასავლეთ ფრონტზე მოკლულია გერმანიის მეათე კორპუსის უფროსი ემმიხი და მძიმეთ დაჭრილია მე-14 კორპუსის უფროსი გეინინგენ-გიუნე. მეათე კორპუსის უფროსათ დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი მარვიცი.

12 აგვისტოს ინგლისის მთავრობამ შემდეგი გამოცხადდა: კვირას მთელი დღის განმავლობაში და აგრეთვე ღამების შემდეგი ინგლისის ჯარი მონაწილეობას იღებდა მონსის მიდამოებში მომხდარ ბრძოლაში და თავისი პოზიციებიც არ დაუკარგავს. ცნობა მოვიდა, რომ ნამიუროს პარველი რიგი მომგერებელთა აღებულ იქმნა ამან მოკავშირეთა ჯარების ერთი ნაწილი აიძულა სამერიდან უკან დაეხია და წინად დაჭერილ საგერ პოზიციებზე დამდგარიყო. ზარალის შესახებ ჯერ ცნობები არ მოსულა.

**ტოკიო.** კრაუგევციდან იუწყებიან, რომ სერბიის ჯარმა და დრინის მთელი ტერიტორია გასწმინდა მტრებისაგანაო. ლიუბოვია ისევ სერბიელების ხელშია. როდესაც ავსტრიელები ამ მიდამოებიდან უკან იხევდენ დიდ სიმხეცეს იჩენდენ. პერეპოლიის მახლობელ მიდამოების ავსტრიის წვრილ რაზმებისაგან დაჭერას, დრონაზე მათი დამარცხების შემდეგ, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

**პარიზი.** (დასავლეთი) ... ფის, ყველა ფრანგს ... რომ ჩვენ დროებით თავი დავანებეთ ელზას-ლოტარინგის ერთხელ უკვე აღებულ ადგილებს, შეაწუხებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ჩვენი სამშობლოს ზოგიერთი ადგილები საუბედუროთ გარდაიქცევიან ბრძოლის ველათ, მაგრამ ასეთი განცდანი აუცილებელია ომის დროს. ამ გარემოებათა გამო დივიზიის ნაწილი, გერმანელთა კავალერია, რომელიც დამოუკიდებლათ მოქმედობს სულ განაპირა მარჯვენა ფრთაზე, შემოიჭრა რუბეტურკუელის რაიონში, რომელსაც იცავდა ჩვენი ტერიტორიალურ ჯარის მხოლოდ სულ მცირე ნაწილი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ძლევა-მოსილნი მცხოვრებნი მამაცურად გადაიტანენ ამ განცდას და არ დაჰკარგავენ რწმენას საბოლოო გამარჯვებისას. მთავრობაც არ დააყოვნებს—აუწყოს ხოლმე მცხოვრებლებს სრული სიმართლე და მით დაუმტკიცებს მცხოვრებლებს, რომ მას სავსებით სწამს გამარჯვება თავის ქვეყნისა, რომელი გამარჯვებაც დამოკიდებულია ჩვენსავე მედგრობასა და თავგამოდებაზე.

## უკანასკნელი ცნობები.

### პეტერბურგი.

პეტერბურგში ჩამოყვანილი დაჭრილები ამბობენ, რომ რუსის ჯარის კარგ გუნებაზედ მუდამ დარწმუნებული იყვნენ, მაგრამ ნანახმა ყოველ იმედს გადააჭარბა. ჯარებს ძალით იკავებენ. რუსი სალდათი სულ ახალსა და ახალს თვისებას იჩენს: სრულს შეგნებასა და მომენტის შეფასებით განსჭვალვას. ჩვენს ჯარებში აჩრდილიც კი არ არის გამხეცებისა. ემჩნევა ჰუმანიური მოპყრობა ტყვეებისადმი. დამახასიათებელია, თუ როგორ უცქერის ჩვენი სალდათი გერმანელს—თავმდაბლათ და ცოტა არ იყოს ზიზღნარევათ. მათის წარმოდგენით მტერი—მკვახე, ბრიყვული და მშიშარა ხალხია.

### კოპენჰაგენი.

ავსტრიელების სასტიკათ დამარცხებამ სერბიაში ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ბერლინში და ვენაში. ავსტრიის ბერლინელი ელჩი ამ დამარცხებას დუნაისა, საკისა და დრინას წყალდიდობით ხსნის.

### სალონიკი.

ბოსფორთან ინგლის-საფრანგეთის ფლოტი მოვიდა, შემდგარი ოცდა ოთხ კრეისერისგან. ადენთან ინდოეთის ჯავშნოსანი ფლოტი სდგას.

### პეტერბურგი.

გაზეთ ,,რეჩის'' სიტყვით, 8 აგვისტოს გერმანელები სასტიკათ დამარცხდნენ. უწესრიგო უკან დახევის დროს გერმანიის არტილერიამ თავისივე ბატალიონი გაანადგურა. გერმანელები კენიგსბერგისაკენ იწევენ.

### სტოკჰოლმი.

ანტვერპენი თავის დაცვის მზადებაშია. ქალაქი უზრუნველყოფილია სურსათით ერთის წლით.

### პარიზი.

,,დეილი მაილ'' იტყობინება, რომ სერბიის წინააღმდეგ ოპერაციებს მდინარე დრინაზედ ავსტრიელებმა თავი გაანებს. ავსტრიელების მდგომარეობა ბოსნიაში უვარგისია. ფიქრობენ, რომ ავსტრიას თავის ჯარი გერმანიის მთავარ ძალებთან გადაჰყავს. გზა ტემაშვარსა და კრაკოვს შორის.

### კოპენჰაგენი.

გერმანელებს მოლაპარაკება აქვთ გამართული სტოკჰოლმში, რომ გერმანიაში მომწყვდეული რუსები შვეციით სამშობლოში დაბრუნდნენ. ასეთ რუს ქვეშევრდომთა რიცხვი 45,000 უდრის უმრავლესობას უსახსრობას განიცდის.

### პეტერბურგი.

იტყობინებიან, რომ ინგლის-საფრანგეთის ფლოტმა ხმელთა შუა ზღვაზედ ოპერაციები დაიწყო ადრიატიკაში, რათა აიძულოს ავსტრია, ხელი აიღოს ჩერნოგორიისა და ალბანიის სანაპიროების ბლოკადაზედ. ალბანიდგან იტყობინებიან, რომ მრავალი ალბნელი რაზმები იყრიან თავს დებრასა და გოსტივარის მიდამოებში და მზათ არიან კოსსოვოს ველს შეესიონ.

### პარიზი.

ბრიუსელის დაკავებით გერმანელებმა გერმანიასთან ფოსტა-ტელეგრაფი აღადგინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**საფრანგეთის ჯარის აფიცრები.**

ერთი რუსი ოფიცერი, რომელსაც 6 თვე დაუყვია საფრანგეთის ცხენოსანთა ჯარის ერთ-ერთ პოლკში, თავის შთაბეჭდილებას ფრანგ აფიცრების შესახებ სწერს „ვოენნი სბორნიკის“ მე-8 №-ში.

ავტორის სიტყვით, ფრანგი კავალერისტები თავიანთი საქმის მცოდნენი არიან, უყვართო და ერთგულად ემსახურებიან მას. სამხედრო საქმე მათ აინტერესებთ, ასე რომ ვსთქვათ, უტილიტარისტულ თვალსაზრისით, ე. ი. სწავლობენ მხოლოდ მას, რაც მათთვის გამოსადეგი იქნება გერმანელებთან ბრძოლაში. ამიტომაც ძალიან კარგათ იცნობენ გერმანიის არმიას, და რუსისას კი სრულებით არა. ზოგჯერ, იმას კი კითხულობდნენ, თუ რა წესით სწარმოებს ჯარის შედგენა რუსეთში; აქვს არტილერიას სწრაფლ-მსროლელი ზარბაზანი, თუ არა და სხ. სხჩნს საერთოდ რომ ავილოთ, არც რუსის ჯართან და არც რუსეთთან არიან გაცნობილნი. რუსეთ-იაპონიის ომი მათ აინტერესებდათ და კითხულობდნენ კიდეც ცოტაოდენს. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადო სამხედრო განათლების მხრივ რუს, აფიცერი ფრანგისაზე მაღლა დგას, ხოლო თავისი სპეციალური ცოდნის თვალსაზრისით, ფრანგი აფიცერი უფრო მაღლა დგას: სულ ახალგაზდა საკავალერიო აფიცერი ჩინებული ინსტრუკტორია ყოველ დარგიან სწავლება—გადაცემის საქმეში და თავის გუნდის გაწვრთნაში, მან მართლაც საუცხოვოდ იცის ყველაფერი რაც მას შეეხება, და საუცხოვოდაც ასწავლის ჯარის კაცებს, ხოლო რაც შეეხება საერთო ცოდნას, აქ მან ადგილი უნდა დაუთმოს რუს აფიცერს. მთელი 6 თვის განმავლობაში წამდა-უწუმ ხვდებოდა ოთხი პოლკის ოფიცრებს და ერთხელაც არ სმენია ჩივილი, თუნდა უბრალო წუწუნი, სამსახურის გამო, ერთჯერაც არ ჰქონია შემთხვევა ენახა, რომ აფიცერს ან დაეგვიანებიოს, ანუ, რაც უარესია, სამსხური გამოეტოვებინოს. საერთოდ ფრანგი აფიცერი როგორც თავის გარეგნობით—ხმელი,— და ხასიათით—ენერგიული, მხიარული და მოძრავი, აგრედვე თავის მოქცევით სამსახურისადმი ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

(ნ. ვ.).

**ოსმალეთი.**

მთელ ოსმალეთში ავტომობილების რეკვიზიცია გამოცხადდა, შოფერებს სამხედრო სამსახურში რიცხავენ. ამასვე ჩადიან ექიმებსა და ფარმაცევტების შესახებ. ბოსფორისა და დარდანელის გამაგრება გერმანელ აფიცერთა ხელშია.

**პოლონელი გრაფი და მოწოდება.**

პოლონელმა გრაფმა მიხეილ საბანსკიმ 100,000 მანეთი გადაგზავნა უმაღლეს მთავარ-სარდლის განკარგულებაში დაჭრილთა დასახმარებლად. პოლონელ გრაფზე შთაბეჭდილება იმ მოწოდებას მოუხდენია, რომლითაც მიმართა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ პოლონელებს.

**ბრძოლის ველიდგან.**

გაზეთ „რეჩს“ ატყობინებენ, რომ წინასწარ გავრცელებულ უმართებულო ხმებს, ვითომც რუსები სასტიკათ მოეპყრობიან ყოველ ტყვე გერმანელსო, შედეგად შემდეგი საზარელი ამბავი მოჰყვა, ჩვენ სანიტარებს დაჭრილ გერმანელის აყვანა სურდათ. გერმანელ ჯარის კაცს ეგონა, რომ რუსები სიკვდილს მიპირებენო და სროლა დაიწყო. გერმანელმა ოთხი ჩვენი სანიტარი მოჰკლა. გერმანელი ძლივძლიობით შეიპყრეს და გოსპიტალში გაგზავნეს.

**თალაათ-ბეი.**

კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთის საგარეო მინისტრი თალაათ-ბეი რუმინიიდან ვენას გაემგზავრება. გამგზავრების მიზანია—მოლაპარაკება გამართოს ავსტრიასთან ოსმალეთისა და ავსტრო-უნგრეთის საერთო მოქმედების შესახებ.

**გერმანიის იმპერატორის მოწოდება.**

ბერლინიდან წასვლის წინ იმპერატორმა შემდეგის მოწოდებით მიმართა ხალხს: „ჩვენი იმპერიის დაარსების დღიდან 43 წლის განმავლობაში როგორც ჩემი წინაპრების, ისე პირადად ჩემი ერთად ერთი მისწრაფება ის იყო, რომ ხელი შეგვეწყო ევროპის მშვიდობიანობისთვის და ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი ეკონომიური განვითარებისთვის. მაგრამ ჩვენი მოპირდაპირენი შურიანები გამოდგნენ და არ უნდათ გვაპატიონ დაწინაურება დასავლეთით და აღმოსავლეთით, დაფარული სიძულვილი ჰქონდათ ჩვენი. აქამდის ვითმენდით ამ სიძულვილს. ხოლო ეხლა ჩვენმა მტრებმა დაგვამცირეს და მოითხოვენ, რომ გულხელდაკრეფილნი ვუცქეროდეთ, თუ როგორ ემზადება მოწინააღმდეგე თავზე დასასხმელად. მათ ვერ შეუგნიათ, რომ არ შეგვიძლიან ვუღალატოთ მოკავშირე ავსტრია-უნგრეთს, რომელიც ღირსეულათ იცავს დიდი სახელმწიფოს სახელს. მისი დამცირება ჩვენთვის სახელისა და ძლიერების დაკარგვა იქნებოდა. ეხლა სიტყვა იარაღს ეკუთვნის და ის გადასწყვეტს, ვინაა მართალი. მტერი დაგვეცა მშვიდობიანობის დროს. იარაღი, ბატონებო! ყოველივე ლოდინი და დაგვიანება სამშობლოს ღალატია. ყოფნა, არ ყოფნა—აი საკითხი, რომელიც აღიმართა ჩვენი მამების შრომით შექმნილ იმპერიის წინაშე. იყოს თუ არა გერმანელთა სიძლიერე, გერმანიის იმპერია. ჩვენ ვიბრძოლებთ უკანასკნელ საშუალებამდის, სანამ ერთი გერმანელიც არის ცოცხალი დარსება, ჩვენ ვიბრძვით მრავალი მტრის წინააღმდეგ. გაერთიანებული გერმანია ჯერ არავის დაუმარცხებია. წინ! ღმერთი ჩვენთანაა, როგორც იყო ჩვენს წინაპრებთან!“.

წიეთ, ხოლო ყოველშემთხვევაში ჯარში შედითო!“.

**ოსმალეთის ფლოტი.**

ოსმალეთმა შეიძინა გერმანიისაგან ნახევარ დრედნოუტი „ჰებენი“ და კრეისერი „ბრესლაუ“. ამ გარემოებამ ყველას ყურადღება მიიქცია. ეს ორი გემიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, ოსმალეთს ამ შემხვევაში შეუძლიან გამოიყვანოს სამი მებრძოლი გემი: „ბარბაროს-გაირედინი“, „ტარგუდ-რეისსი“ და „მესსუდიე“, ორი კრეისერი „ჰამიდიე“ და „მეჯიდიე“; თორმეტი საესკადრო ნაღმოსანი და ათი ნაღმოსანი „ბარბაროსსი“ და „სვისსი“ ძველი გერმანული ჯავშნოსანი გემებია. წყალწყვა ათიათას ტონზე მეტია. აქვს 6 თერთმეტ დიუმიანი, 8 ოთხდიუმიანი ზარბაზანი და ორი სანაღმო აპპარატი. ეს გემები აშენებულია 1891 წელს, მაშასადამე, ცოტა მოძველებულია.

გემი „მესსუდიე“ 1874 წ. ააშენეს და 1902 წ. იტალიაში გადააკეთეს. წყალწყვა ათი ათასი ტონნია. აქვს ორი 9,2 დიუმიანი ზარბაზანი შედარებით ახალი ტიპისა და 12 ექვს დიუმიანი. ძველი რკინის ჯავშანი აქვს.

კრეისერები ახალია. აქვს 2 ექვს დიუმიანი და რვა 4,7 დიუმიანი ზარბაზანი. პალუბას გადაკრული აქვს 4 დიუმიანი ჯავშანი.

ოსმალეთის ნაღმოსნები ყველა ახალია და კარგადაც არიან შეიარაღებული.

კრეისერი „რესლაუ“, რომელსაც ოსმალეთმა „რეშადიე“ დაარქვეს, ახალი ტიპის მსუბუქი კრეისერია. იგი გერმანიის ფლოტისთვის გააკეთეს. გადაკრული აქვს 4 დიუმიანი ჯავშანი. აქვს 12 ოთხ დიუმიანი ზარბაზანი და 2 სანაღმო აპარატი. მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობა ექნება კრეისერს „ჰებენს“. იგი ევროპის ერთი უძლიერესი კრეისერ-დრედნოუტთაგანია. წყალწყვა 23 ათასი ტონნია. აქვს 10 თერთმეტ დიუმიანი და 12 ექვს დიუმიანი ზარბაზანი და 4 სანაღმო აპპარატი. გარს შემორტყმული აქვს 8 დიუმიანი ჯავშანი. კრეისერ-დრედნოუტი „ჰებენი“ ევროპის ერთი უძლიერესი გემთაგანია.

# რუსეთის პრესსა და ომი.

„უტრო როსსია“ ეხება პრუსიელ სალდათის ბარბაროსობას ბრძოლის ველზე და, სდებს ამაში ბრალს იმპერატორ ვილჰელმს, ამბობს:

„ჯერ კიდევ ბოქსერების აჯანყების დროს ჩინეთში, ვილჰელმა თავისი საექსპედიციო კორპუსი შემდეგის სიტყვებით დალოცა, რომელიც მთელს ქვეყანას მოეფინა: „ნუ დაინდობთ ნურავის! მე ტყვეები არ მიყვარს“.

ძნელი მოსალოდნელი იყო, რომ ასეთ ადამიანს მიჩნეული ქონდა კულტურული საშუალება, სავალდებულო ჩვენი დროის სალდათისთვისაც. ვიდრე ვილჰელმი გერმანულ ჯარის წარსულ დიდებას დამარხავდა, მან სამუდამოთ დამარხა ყოველივე წარმოდგენა გერმანელზე, როგორც კულტურულ ადამიანზე.

რუსის სალდათი, რომელიც ეხლა პრუსიის სამზღვარს უახლოვდება, კარგათ დაიხსომებს ყოველ მსხვერპლს პრუსიელ ბარბაროსებისას. ეს მსხვერპლი—სისხლის ანგარიშია, რომელიც წარუდგინეს რუსის ჯარს. ამ ანგარიშს სავსებით გავანაღდებთ და გავანაღდებთ წკრიალა ვალიუტით. მაგრამ პრუსიის მშვიდობიან ხალხიდგან კი არ ამოიღებს ამ შურს რუსის სალდათი, არამედ იმ ველურთა მკერდიდან, რომლებიც ამ ანგარიშს ომში დაღუპულ რუსის მშვიდობიან ხალხის სისხლის წვეთებით სწერდა“.

## იმპერატორი ვილჰელმი და პარტიის ლიდერები.

იმპერატორმა ვილჰელმმა რეიხსტაგის დეპუტატებს ომის გამოცხადების შემდეგ სიტყვით მიმართა. „Agence Roumaine“ იუწყება, რომ ეს სიტყვა იმპერატორმა წარმოსთქვა მაღალისა და ენერგიული ხმით, როცა პირველ მომენტში თეთრი ზალა სრული მყუდროებით იყო მოცული. მაგრამ რამდენათ უფრო გრძელდებოდა სიტყვა, მით უფრო დეპუტატები ხშირად აწყვეტინებდენ აღფრთოვანებული აპლოდისმენტებით. განსაკუთრებულის ენტუზიაზმით მიეგებენ იმპერატორის იმ სიტყვებს, რომელშიც იგი ავსტრო-უნგრეთისადმი საკავშირო ვალდებულებებს შეეხო. იმპერატორმა ვერ შესძლო თავისი მღელვარების დამალვა; მისი ხმა კანკალობდა სიტყვის იმ ადგილზე, სადაც იგი შეეხო ერც-ჰერცოგ ფრანც-ფერდინანდის მკვლელობას. სიტყვის შემდეგ იმპერატორმა მიმართა რეიხსტაგის წევრებს შემდეგის სიტყვებით:

„თქვენ, ბატონებო, უკვე წაკითხული გაქვთ გაზეთებში, თუ რა ვუთხარი ჩემს ხალხს აივნიდან. მე ამას აქ ახლაც ვიმეორებ: ჩემთვის ახლა აღარ არსებობენ არავითარი პოლიტიკური პარტიები, თქვენ ყველანი ჩემთვის გერმანელები ხართ. დასამტკიცებლათ იმისა, რომ თქვენ მედგრად გადასწყვიტეთ, მიუხედავათ პარტიულ, კლასიურ და სარწმუნოებრივ შეხედულებათა სხვადასხვაობისა,- გამომყვეთ მე ყველგან, მოურიდებლათ ყოველგვარი საფრთხისა და თითქმის სიკვდილისაც კი, მე ვიწვევ პარტიების ლიდერებს—მოვიდენ ჩემთან და მომცენ თავიანთი ხელი“.

იმპერატორის სიტყვებმა გამოიწვია დიდი აღფრთოვანება, და ღაღადისმა: „გაუმარჯოს იმპერატორს“! გაავსო თეთრი ზალა. ყველა პარტიის ლიდერები გაემართენ იმპერატორისაკენ, რომელმაც მათ ხელი მაგრათ ჩამოართვა თითოეულს ცალცალკე. რეიხსტაგის წევრთა იმპერატორთან აუდიენცია ნაციონალური ჰიმნის გალობით დასრულდა.

# ქუთაისი

**ახალი ამბავი.**

რედაქციამ მიიღო ადესის სტუდენტთა სამეცნიერო წრისაგან გამოცემული სამხატვრო და სამეცნიერო კრებული „ცხოვრება და მეცნიერება“ პროფესსორ მელიქიშვილის სურათით და 45 ნახატით, № 1. შემოსავალი ამ კრებულისა გადაიდება ადესის ქართული საზოგადოების „საქართველოს“-ს სასარგებლოთ. წიგნი შეიცავს 160 გვერდამდე დიდი ფორმატისას, დაბეჭდილია მშვენიერ ქაღალდზე და მეტად სუფთათ. ფასი ერთი მანეთი. ამ პირველ წიგნში სამი განყოფილებაა და მოთავსებულია შემდეგი წერილები:

I. 1, დროებით ვალდებულ „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“—პრივ.—დოც. ს. ავალიანისა; 2, „ახალგაზდები“—სტ. ვ. კარბელაშვილისა; „არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიური შეხედულებანი“—გრ. ვეშაპელისა; 4, „პანაშვიდი“—ტ. ტაბიძისა; 5, „პატარა საუბარი“ (ხელოვნება)—სტ. ქ. რაჭველისა; 6, „ვაჩე-ბრძენი“—სტ. ვ. ეგნატაშვილისა; 7, „ძველი საქართველო: სამცხე—სათაბაგო“—სტ. ს. ასლანიშვილისა; 8, „კახეთის ბუნება“—სტ. ვ. ყიფიანისა; 9, „მხატვარი და მკითხველი ქართულ პოეზიაში“—კანდესი.

II. 1, „ადამიანის სქესობრივი ცხოვრება“—აქიმ მ. ცეცხლაძისა; 2, „საუბარი ტვინის შენობისა და ფუნქციების შესახებ“—აქიმ სიმ. ყიფშიძისა; 2, „უჯრედი და ქსოვილი. ადამიანის ანატომიის შესავალი“—აქიმ ნ. კახიანისა და სტ. პ. ქავთარაძისა.—

III. „ბიბლიოგრაფია“.—

ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ამ წიგნის გამოსვლას და ახლო მომავალში ვეცდებით ვრცელი წერილი ვუძღვნათ.

✦ ქ-ნ ევგენია ალ. კორძაიას მეულის პროფესიონალურ შკოლაში მისაღები და წინასწარი გამოცდები დაიწყება პირველ სეკტემბრიდან; თხოვნების მიღება და მართველთან პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის რვა საათიდან ახალ ბინაზე,—ძველი თფილისის ქუჩა, ილია წინამძღვარიშვილის სახლებში. შკოლა ძველ ბინაზე დარჩება წელსაც.

✦ ქუთაისის ქალაქის მოურავმა, ბ-ნ ი. მ. ჩიქოვანმა, ომში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლათ შემდეგი მოწოდება გამოაკრა: „მოულოდნელი უბედურება დაგვატყდა თავზე. ღვთის რისხვად მოევლინა ქვეყნიერებას ომი, ისეთივე საზარელი, როგორც ჟამი, მიწის ძვრა და წარღვნა. თავისუფალი, მშვიდობიანი ცხოვრების დენა ერთიანად დაირღვა, აირია...

ჩვენი პატარა ქვეყანა, ისედაც სუსტი და გაჭივრებული, ომიანობის დროშ უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა.

ჩვენს გაღატაკებულს ოჯახებს ომიანობამ მოგლიჯა გულიდან ერთად-ერთი მისი მარჩენალი, მისი ჭირისუფალი.

ჯარის კაცებათ ომში გაწვეული ჩვენი ძმები და შვილები სისხლს ანთხევენ ჩვენი მშვიდობიანობის, ჩვენი არსებობის დასაცავად. ასეთი ფასდაუდებელი მსხვერპლი ჩვენგანაც მოითხოვს შესაფერს მსხვერპლს.

საძრახისი, სამარცხვინო იქნება ჩვენთვის, რომ ჩვენი უყურადღებობის მიზეზით დაიმშეს ცოლ-შვილი და დედ-მამა ანაზარად მიტოვებულ ომში გაწვეულ ჯარის კაცებისა.

მოქალაქენო! თქვენთვის თავდადებულ მოძმეთა ოჯახები მოითხოვენ თქვენგან ნივთიერს დახმარებას და თქვენც დაუყონებლივ უნდა აღმოუჩინოთ იგი.

მიეშველენით, რითაც შეგიძლიათ: ფულით, ნივთით, საქონლით, სანოვაგით, შეწირულების სიმცირეს ნუ მოერიდებით, ყველაფერი მადლობით მიიღება, მხოლოდ უპირატესობა ეძლევა ფულის შეწირვას.

საქონელთაგან სასურველია შემოიწირონ: კაცის უხმარი თეთრეული, საბანი, ფუფაიკა, ჩაბალახი, ტილო, მიტკალი, ცხვირსახოცი, წუღები, წინდები და სხვ.

სანოვაგეთაგან: ჩაი, შაქარი, კონიაკი, ღვინო, კონსერვი, გალეტი, სუხარი, კრუპა, შოკოლადი, კაკაო, საპონი, თუთუნი, პაპიროსი, გიდროსკოპიული ბამბა, მარლი, ტერმომეტრები და სხვა. ისეთი სანოვაგე, რომელიც მალე ფუჭდება, არ მიიღება.

შეწირულება უნდა გამოეგზავნოს ქუთაისის ქალაქის გამგეობაში განსაკუთრებულ კომიტეტს, რომელიც მოქმედობს ჩემის თავჯდომარეობით.

შემწირველთა ვინაობა და შეწირულების რაოდენობა დაუყონებლივ გამოცხადდება გაზეთში“.

✦ დღეს, 14 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდება კრება, კრებაზე მოწვეულნი არიან ქალაქის ხმოსნები სხვადასხვა დაწესებულებათა, წარმომადგენელნი და ვაჭრები, განსახილველათ დანიშნულია რამდენიმე საკითხი, რომელთაც კავშირი აქვს ომიანობასთან.

✦ ქუთაისის ქართული გიმნაზიის უფროს კლასებში თავისუფალია შემდეგი გაკვეთილები: რუსული სიტყვიერებისა, ლათინურისა და ფრანგულ ენებისა.

თხოვნები და სხვა დოკუმენტები უნდა გამოგზავნოს ხსენებულ გიმნაზიაში 20 აგვისტომდე.

✦ გუშინ, 13 აგვისტოს, დილის მატარებლით თფილისს გაგზავნეს 30-მდე დატუსაღებული გერმანელები. (ზოგი ოჯახობით) თფილისში ისინი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იქნებიან.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ უკვე გამოაკრა საბოლოო სია იმ პირთა, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ქალაქის ხმოსანთა მომავალ არჩევნებში. არჩევნები 14 სეკტემბერს მოხდება.

✦ 12 აგვისტოს ოლქის სასამართლომ გაარჩია პავლე ცქიტიშვილისა და ბიქტორ ფაჩუაშვილის საქმე. პირველი ისჯებოდა 1651 მუხლის ძალით და მეორე 1654 მუხლით. ს[illegible] მნაშავეთ იცნო და [illegible] ციხე მიუსაჯა, ხოლო მეორეს—6 თვით.

ამავე დღეს სასამართლომ გაარჩია ტრიფონ კოპალეიშვილისა და ჭომახიძის საქმე, ისინი ისჯებოდენ 1655 მუხლის ძალით. სასამართლომ ორივე დამნაშავეთ იცნო და თითოს ოთხ-ოთხი თვის ციხე მიუსაჯა.

# თფილისი.

— გუბერნატორმა ნება დართო ბ-ნ მოისეევს, 16 აგვისტოს გორში წარმოდგენა გამართოს ჯარში გაწვეულთა ოჯახების სასარგებლოდ.

— სამის სამეურნეო სასწავლებლის გასახსნელად ქუთაისის გუბერნიასა და დაღესტანის ოლქში მეფის მოადგილის საბჭომ 1915—17 წლებისთვის 54,195 მან. გადასდო საერობო თანხიდან.

— მეომართა ოჯახთა დამხმარე თფ. კომიტეტის კრება დანიშნულია 15 აგვისტოსთვის.

— თფ. ქართულ სათავად აზნაურო გიმნაზიაში, როგორც გავიგეთ, მომავალ სამოსწავლო წლიდან მასწავლებლის რამდენიმე ადგილი იცლება.

— სამელიორაციო ყრილობის ბიურომ 11 აგვისტოს კრება ქონდა მეფის მოადგილის თანაშემწის გოფმეისტრის ნ. ლ. პეტერსონის თავჯდომარეობით კრებაზე აღძრულ იქნა საკითხი გადაიდოს თუ არა სამელიორაციო ყრილობის მოწვევა. ბიურომ გადადება საჭიროდ არა სცნო, რადგანაც ყრილობისთვის საჭირო თანხა უკვე არის, მასალები დამზადებულია და ინჟინერ-ჰიდრავლიკებიც ომის გამო განთავისუფლებულნი არიან მორიგ სამუშაოსაგან და მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ. კრებაზე გამოირკვა, რომ ის პასუხები, რომელიც სხვადასხვა ქალაქიდან საანკეტო ფურცლებზე გამოგზავნეს, საკმარისი არის კავკასიის სამელიორაციო საჭიროებათა შესახებ დასაბუთებულ მოხსენების შესადგენად.

— რუსულად დეპეშების დაბეჭდვისა და გაყიდვის ნება დართო გუბერნატორმა: გორში დ. დ. კარიჭაშვილს და ბორჯომში ვ. ა. მოისეევს.

— დახმარება სასოფლო სამეურნეო საზოგადოებებს. მეფის მოადგილის საბჭომ მხედველობაში მიიღო, რომ კავკასიის სასოფლოსამეურნეო საზოგადოებებს, რომელთა დანიშნულებაც არის ხალხში თეორიულ ცოდნის გავრცელება, პრაქტიკული საქმიანობაც უხდებათ საერობო დაწესებულებათა უქონლობის გამო და დაადგინა, 1915—17 წლებისათვის საერობო თანხიდან დახმარება მისცეს: კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას 7,500 მან., ქართულ სამეურნეო საზოგადოებას—4,800 მან., სომხურს 4800 მან., მეხილეობის საზოგადოებას - 1500 მან., ფრინველთა მომშენებელ საზოგადოებას —600 მან. და მეფუტკრეთა საზოგადოებას—600 მან., ქუთაისისა, ბათომისა, განჯისა და ბაქოს სამეურნეო საზოგადოებას სამი წლის განმავლობაში მიეცემათ 3000 მან. თითოს. ამას გარდა საბჭომ 20700 მან. გადასდო საგუბერნიო სასოფლო-სამეურნეო თათბირთა განკარგულებაში წვრილ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა დასაარსებლათ.

## პასუხათ გაზ. „შრომას“

გადავიკითხე „შრომის“ (იხ. № 24) საპასუხო წერილები, მათ შორის გიგლა მებუკისაც. ყველა ერთი ყაიდისაა. „შრომელ“-თაგან არ მიკვირს: ანწლის ძირისგან შაქრის ლერწამს არაოდეს არ მოველოდი და ახლაც ასე მოხდა. უყურადღებოდ ვსტოვებ!

გიგლა მებუკის—რედაქციაში მომხდარი ინციდენტის „ობიექტურმა“ სურათმა კი—ვერ დამაკმაყოფილა: ერთობ ხელოსნურია, ნაკეთები. არ გაემტყუნება: „შრომა“-ში მომუშავე ყოფილა (მე ეს არ ვიცოდი) და—ღმერთო შეგცოდე—შეიძლება, წილიც უდევს „შრომის“ „შავბნელ ძალებთან ბრძოლაში“. თუ როგორია ეს „ბრძოლა“, მკითხველმა უკვე დაინახა: დილას გამოსული და ქალაქში უკვე გავრცელებული დეპეშები „შრომა“-მ იმავე დღეს საღამოს გამოსცა და მოატყუა საზოგადოება.

ეს კიდევ არაფერი: მე ხელთ მაქვს ერთი დოკუმენტი, რომელიც ნათლად მოწმობს, რომ „შრომელები“ პრესის მოსამსახურენი კი არ არიან, არამედ უბრალო მადა გახსნილი ექსპლოატატორები: სამ აგვისტოს **საღამოს** ქუთაისში გამოცემული დეპეშები პროვინციაში აბაშა, ხონი, სენაკი, ზუგდიდი და

სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვილების ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზომიერ ფასებში საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის ჯიბის დღიურები, მიღებულია და იყიდება პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ფურნელობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.

ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა. მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვასრულებთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანადღი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.

პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

სხვ.) მხოლოდ 4 აგვისტოს იქნე-ბა პროვინციელი მკითხველი გუშინდელ დეპეშებს ცალკე არ იყიდის, რადგან იმავე ცნობათ გაზეთშიც ამოიკითხავს. როგორ მოვახერხოთ, რომ დეპეშები ყველგან „ცხელ-ცხელი“, „დღევანდელი“ იქნეს. საკმაოა თურმე სათაური გამოვუცვალოთ: მაგ., სიტყვა „საღამოის“ სრულიად ამოვიღოთ და „3 აგვისტოს“ მაგიერ ჩავაბეჭდოთ „4 აგვისტო“, თუ დეპეშებს შორს ვგზავნით, მაშინ—„5 აგვისტო“ და ასე, ამრიგად ყოველგან „ცოცხალი“, „საინტერესო ტელეგრამ“ იქნება.

სწორეთ ასეც მოიქცა „შრომა“. ქუთაისში საღამოს სამ აგვისტოს გამოცემულ დეპეშათ მხოლოდ სათაური დათარიღი (3-ის მაგიერ 4). გამოუცვალა, დანარჩენი ყველაფერი (ცამეტი დეპეში) უცვლელად დასტოვა და ამისთანა „ახალი“ დეპეშები პროვინციაში გაგზავნა გასაყიდლად. მე მაქვს სად. აბაშაში ნაყიდი ოთხი აგვისტოს „შრომის“ დეპეშა, რომელიც სიტყვა-სიტყვით იგივეა, რაც ქუთათურთათვის გამოცემულ სამ აგვისტოს.

ვსთხოვ მსურველთ მობრძანდენ „იმერეთის“ რედაქციაში, თვით დაამოწმონ ზემო ნათქვამი და თვითვე დასდვან მსჯავრი „შრომის“ ასეთ საქციელს*).

ვუკოლ ბერიძე.

---

*) ბ-ნმა ვუკოლ ბერიძემ რედაქციაში მართლაც წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტები, რომელიც ერთიმეორის ასლია, მხოლოდ ერთ-ერთს თარიღი და სათაური აქვს გამოცვლილი. ჩანს, რომ „შრომის“ რედაქციას პროვინცია შეცდომაში შეუყვანია. რედ.

**წერილი რედაქციის მიმართ.**

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვ ამ ჩემს მცირე შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში.

გაზეთ იმერეთის № 123-ში ვინმე „მარი-ოლლი“ აცხადებს: ერთმა მრევლთაგანმა საჩივარში შეიტანა ეპისკოპოსთან პეტრე პავლეს ეკლესის მნათეზე, რომელსაც ბრალსა სდებდა, რომ მნათე თვრალი შედის ეკლესიაში და თვითნებობს, საზედაშე ღვინოს ისხამს დოქში, მიაქვს სახლში და სხვა...

შემდეგ იგივე მარი-ოლლი ამბობს: „ყოვლად სამღვდელომ გადმოსცა ეს საჩივარი გამგე ღვდელს თუ არა, არ ვიცით, ხოლო თხოვნა კი უყურადღებოთ იქმნა დატოვებული“—ო.

მკითხველი საზოგადოება რომ ბ-ნ მარი-ოლლის წერილმა შეცდომაში არ შეიყვანოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ის მრევლთაგანი, რომელმაც საჩივარი შეიტანა ჩემზე, გახლდათ თვით პეტრე-პავლეს ეკლესიის დარაჯი, რომელიც დავითხოვე მე იმ გმირულ საქმეებისთვის, რომელსაც თავის საჩივარში მწამებდა.

მართლაც, ეპისკოპოსმა ინება და დარაჯის საჩივარი, შემდეგ ჩემი განმარტებისა, უყურადღებოთ დასტოვა.

პეტრე-პავლეს ეკლესის მნათე

გიგო ლექვინაძე.

---

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.




ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

— „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . . | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთითათ ისე ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

ექიმის ივ. პოკერიას

საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

ქუთაისი. დაიბეჭდა და იყიდება

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

შემდეგი ახალი საკუთარი გამოცემები:

| | |
|---|---|
| „მამულის სიყვარული და მსახურება“—ნ. ნიკოლაძისა ფ. | 1 აბაზი |
| „ხუცური ანბანი“ და კარიჭაშვილისა . . ფ. | 1 აბაზი |
| „ლოცვანი“ მღვდ. პლ. ცქიტიშვილისა | 2 შაური (ყდით 3 შაური) |
| „შაქარას ნაამბობი“—ს. ყიფიანის . . . | 3 კაპ. |
| „ქართული მოძრავი ანბანი“ . . | 2 შაური (კარდონზე 10 შაური) |

იბეჭდება და მალე გამოვა დასურათებული სახელმძღვანელო „გუთანი“, მესამე გამოცემა.

მინადორა დუნდუას

ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი,

„გადავიდა

ბალახვანის ქუჩაზე, იოსებ ბაქრაძის სახლებში. ბავშების მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან. წელს იხსნება 4-ხე კლასი. აქვე არის გახსნილი საანბანო განყოფილებაც. ნახვა შეიძლება მოსალაპარაკებლათ დილის 9 სათ.—2 საათ.

„ცხოვრება და მეცნიერება“

ვინაიდგან კრებული უკვე გამოვიდა, ამისათვის ვთხოვთ აგენტებს, რათა წაღებული კვიტანციის წიგნაკები დაგვიბრუნონ. მოგვყავს სია აგენტებისა:

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზია თბილისში.

წიგნები № 11 და № 12.

სტუდენტი ლადო ძღენტი № 38 და 39 (ოზურგეთი). სტუდენტი მიშა იაშვილი № 41 (ჭიათურა). სტუდენტი ლევან ქორქაშვილი № 42. სტუდენტი გერასიმე კუპრაშვილი № 43. სტუდენტი კოწია კოკორაშვილი № 44. მუშნი დადიანი № 46.

აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც კერძოთ გადაცემული აქვთ წიგნაკები 23 ნუმრიდან ვიდრე 35-დი, ვთხოვთ დააბრუნონ საჩქაროთ.

მისამართი: Кутаисъ. Книжный магазинъ К. Опхели. სარედაქციო კომისია.

შექსპირი ქართულად!

გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ

შექსპირის

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიოკეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). -გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: პირველ ც შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს—1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება თფილისში: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და ქუთაისში მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი ქ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა

განცხადება.

ქუთაისის სააზნაურო ქართულ გიმნაზიაში მომავალი სასწავლო წლისთვის ვაკანსიები არც ერთ კლასში არ მოიპოვება. თავისუფალი ვაკანსიები იქნება მოსამზადებელი კლასის პირველსა და მეორე განყოფილებებში და თხოვნები (წლოვანობის, წოდების და აცრის მოწმობებით) 25 აგვისტომდი უნდა წარმოადგინონ.

მისაღები ეგზამენები მოხდება 28 აგვისტოს

ხელახალი ეგზამენებისთვის მე 5, 6 და 7 კლასების მოსწავლეები 21 აგვისტოს უნდა გამოცხადდენ, დანარჩენ კლასებისა და განყოფილებათა მოწაფეები კი -25 აგვისტოს.

ქუთ. სააზ. ქართული გიმნაზიის გამგის მაგიერ გ. ცაგარეიშვილი.

ამ დღეებში

ქუთაისში გამოვა ალმანახი

„ქუთაისის საქმიანობა“.

ალმანახში დასაბეჭდი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Ивановская 40. ალმანახი გამოვა ქალაქის ხმოსანთა არჩევნების მოახლოების გამო და შიგ მოთავსებული იქნება წერილები ქალაქის თვითმმართველობის მოღვაწეობაზე.

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის აბანო,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული კურსების აბანო იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით გ. მ. არჯევანიძე.

მუშაონის

ხრესილის მადნეული წყლის

ძმ. ქორქოლაძეების

სამკურნალო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“.

ნ. ს. ტერკის მაღაზია

ქუთაისში

ველოსიპედები

ყველაზე იაფად.




შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე

ყველაზე იაფად

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

ქუთაისში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

გ. გ. გიგინეიშვილისა

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიში.

კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე: გ. გ. გიგინეიშვილი.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვის